ფარეგრებისა და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩს, 16 აგვისტოს, ჩრდილოეთირლანდიელი მსაჯები გაუძღვებიან. მთავარი არბიტრი **მაიკლ-ტომას როსი** იქნება. მისი ასისტენტები — **დევიდ რჯდეირნი** და **დევიდ-პოლ ტოდი**, მეოთხე მსაჯია **დევიდ მაღლაფლი**. მატჩზე მსაჯების დამკვირვებელი "შვედ **ლარს-ჯაე ბიორკეა**. უეფას დელეგატი კი ვერანული **ჯოელე-გიუნტერ ვესელია**. ფარეგრელთა და ქართველთა პაექრობა ქალაქ ტოფტორში, „ტოფტორ სტედიუმზე" გაიმართება და ადგილობრივი დროით 19.00 საათზე (თბილისის დროით 22.00 საათზე) დაიწყება.

ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲠᲝᲚᲝ ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

უკვე ერთ კვირაზე მეტია ქობულეთში საწვრთნელ შეკრებაზეა საქართველოს 17 წლამდე ჭაბუკთა ნაკრები. ჰერბერტ ცანკერის შეგირდები თეორიულ სწავლებას ადგებერეთო ტაქტიკა-სტრატეგიაში, ვარჯიშებს და საკონტროლო მატჩებს უთამაშებენ. კვირას, ურეკში რეგიონალურ ნაკრებთან გაიკარჯშეს. გუშინ კი ჩვენმა ჭაბუკებმა სომეხ თანატოლებთან პირველი ამხანაგური მატჩი გამართეს. მეორე შეხვედრა ხუთშაბათს, 10 აგვისტოს გაიმართება. გუშინდელი პაექრობა კი დამთავრდა მასპინძლთა გამარჯვებით 1-0.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲒᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲘᲡ ᲨᲔᲘᲪᲠᲘᲜᲐ

რუსეთის დედაქალაქში დასრულდა გასული საუკუნის 70-იან წლებში რუსეთი რკინიგზის თავკაცის, ფეხბურთის მეცენატის ბეშევის სახელობის თასის გათამაშება. ტურნირი ტრადიციული და მოსკოვის „ლოკომოტივი" ვეტერან ფეხბურთელებს შორის ატარებს. მასში თბილისის „დინამოს" ვეტერანებიც ტრადიციულად მონაწილეობენ. წლევანდელ, დინამოელებმა მეშვიდე ადგილი დაიკავეს. ჯგუფში ფრედ 0-0 ითამაშეს „ტორპედოსთან" და „ლოკომოტივთან" და წაგება 0-1 ცსკა-სთან. მეშვიდე ადგილისთვის მატჩში კი პენალტების სერიაში 4-1 მოუგეს ერუნნის „არარატს". თავად შეხვედრა 0-0 დამთავრდა. ტურნირის საუკეთესო მეკარედ ოთარ გაბელია აღიარეს, დინამოელთა საუკეთესო ფეხბურთელად — ლუკა ნოდია. „ბეშევის" თასი მასპინძლებმა, მოსკოვის „ლოკომოტივის" ვეტერანებმა მოიგეს, მათ ფინალში 2-1 სძლიეს კიევის „დინამოს". მესამეზე მოსკოვის ცსკა გავიდა, რომელმაც თანაჯარაზედ „სპარტაკს" აჯობა.

ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადებიდან 70 წლისთავს უღლაცავს ვეტერან ფეხბურთელს, თბილისის „დინამოს" ლეგენდარულ გოლკიპერს **სერო კოტრიკაძეს.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადებიდან 50 წლისთავს უღლაცავს ქუთაისის „ტორპედოს" და თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელს, ოლიმპიური ჩემპიონის ბრინჯაოს მედალოსანს **თენგიზ სულაქველიძეს.**

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ. II ᲒᲣᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

6 აგვისტო. რუსთავი. ცენტრალური სტადიონი. 800 მაყურებელი.
ოლიმპი — კახეთი 7-0
ოლიმპი: მ. ალავიძე, რ. ონიანი, მ. მახვილაძე, ხუბუა (ხოხნიანი, 80), გ. სეთურიძე (მიმინაშვილი, 72), გ. თოდუა, ლ. ქუხიძე, თ. აფციაური, სირბილაძე (ვ. კვარაცხელია, 67), ვ. დვალიშვილი, გ. კახელიშვილი.
კახეთი: გ. იაშვილი, ა. კვირკველია, ი. მალღაყლაძე, კობაიძე, ბედოიძე, კვეტიშვილი (ტატიაშვილი, 73), ნ. დავითაშვილი (ალეშინ ბურნაძე, 65), იმერელიშვილი, დ. ბურდული, სოსილია (მ. ხიდაშელი, 67), არდაშელიანი.
გოლები: 1-0 მახვილაძე (24), 2-0, 3-0 სირბილაძე (60,64), 4-0 დვალიშვილი (70), 5-0 თოდუა (78), 6-0 კვარაცხელია (87), 7-0 დვალიშვილი (90).
გააფრთხილეს: გ. თოდუა (33), კვარკველია (42).
მსაჯი: გ. კიკაბიძელი (ქუთაისი).

6 აგვისტო. საჩხერე. ცენტრალური სტადიონი. 2000 მაყურებელი
ჩიხურა — ტორპედო 0-0
ჩიხურა: მამალაძე, მემარნიშვილი, ალექსანდრე ბურნაძე, ბ. თედორაძე, სანიკიძე, მესხი, მარგალიტაძე, ჩოჩახიძე (დ. გოდერძიშვილი, 46), მიქაძე, კაკალაძე (სულთანიშვილი, 72), ლ. მერებაშვილი.
ტორპედო: კოდალაური, გამეზარდაშვილი, ბერულაშვილი, ხარებაძე (ცქიტაია, 46), გ. გურული, ფარულავა, თ. უგრეხელიძე, გ. ჩხეტიანი, ზ. ჩხეტიანი, ქუთათელაძე (ვეფხია 38, ლალაძე, 66), ერასოვსკი.
მსაჯი: მ. ბუეშკოშვილი. (ყვარელი)

5 აგვისტო. ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 800 მაყურებელი
დინამო (ბთ) — ამერი 0-1
დინამო: სომხიშვილი, ეკონია, გოგიშვილი, გალოგრე, დუმბაძე, ნაჭყებია (აბაშიძე, 50), ცანავა, კუჭუნაია (ტატიშვილი, 55), ოჯრეშვილი, ჯანიძე (ხარაზი, 50), ტიაგო.
ამერი: ჭყონია, ჩიკილაძე, ხვადაგიანი (ბერიანიძე, 56), დიასამიძე, ელბაქიძე, დობროვოლსკი, დეკანოიძე, დოლიძე, ბოლქვაძე (გაბისკირია, 46), ტატანაშვილი (სეფაშტოლო, 46), ს. დავითაშვილი.
გოლი: 0-1 დოლიძე (10).
ტიაგომ ვერ გაიტანა პენალტი (80).
გააფრთხილეს: დობროვოლსკი (33), დეკანოიძე (35), ეკონია (62), ხარაზი (68), დუმბაძე (73).
გააძევეს: ელბაქიძე (70).
მსაჯი: ჯ. ჭაჭუა (ქუთაისი).

6 აგვისტო. თბილისი. სტადიონი „შევარდენი". 300 მაყურებელი
მერანი — ზესტაფონი 0-3
მერანი: გლუხიაძე, ბესარაშვილი, ლ. გორგაძაშვილი (თ. მშვილიშვილი, 32), ფ. ხანთაშვილი, სარალიძე, ოსიტაშვილი (ბუხრაძე, 65), ლ. კვარაცხელია, ქუმბაშელი, ლ. მანწყავა (ცისკარაული, 58), გაგუა, ჯორაძე.
ზესტაფონი: გ. ჭანტურია, ს. თოდუა, შ. ღონღაძე, ხიდეშელი, ქ. ჩხეტიანი, გ. თუმანიანი, მ. ნიუხაძე, ფიფია (ბენაშვილი, 65), გ. ქუთელაძე, ძაბანაშელი, გ. გოცირიძე (ნ. ქვასხვაძე, 86).
გოლები: 0-1 ლიპარტელიანი (23), 0-2, 0-3 ქუთელაძე (58 პ., 90).
გააფრთხილეს: გოცირიძე (36), დ. ხანთაშვილი (57).
მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი).

6 აგვისტო. თბილისი. სტადიონი მ. მესხის სახელობის 500 მაყურებელი
დინამო (თბ) — დილა 6-1
დინამო: ლორია, ამბროზიაი, შ. ყაშია, დ. გიგაური, ნავალოვსკი, გ. მერებაშვილი (ბობოხიძე, 68), ნერგაძე (კ. მახარაძე, 70), მ. ხუცურაშვილი (ვ. გრიგალაშვილი, 58), ს. კობახიძე, ჯ. დვალი, ს. იაშვილი.
დილა: ა. ილურიძე, გ. ნაღირაშვილი, ზ. ლაბაძე, გ. მასურაშვილი (ვარდისანიძე, 80), ოლეგსაშვილი (ბალიაშვილი, 65), სავარელიძე, სადაღაშვილი (აბრამიშვილი, 58), ტლაშაძე, კურტანიძე, ლ. თურმანიძე, გ. წინამძღვრიშვილი.
გოლები: 0-1 გიგაური (9 ს.კ.), 1-1 დვალი (24), 2-1, 3-1 ს. იაშვილი (34, 44), 4-1 დვალი (67), 5-1 ბობოხიძე (77), 6-1 დვალი (80).
გააფრთხილეს: წინამძღვრიშვილი (18), მერებაშვილი (63), ილურიძე (82).
მსაჯი: მ. ხტეაძე (თბილისი).

6 აგვისტო. სტადიონი „არმაზი". 300 მაყურებელი
ვიტ ჯორჯია — სიონი 3-2
ვიტ ჯორჯია: ბეგიაშვილი, ჯ. დათუნაშვილი, დ. ლომაია, ა. კვახაძე (ადამაძე, 34), ფიქრიშვილი (ქვაღინაძე, 76), გ. დათუნაშვილი (ლ. რაზმაძე, 51), დიღმელაშვილი, გველესანიძე, ღუჭაშვილი, ბერიაშვილი, ზ. სახოკია.
სიონი: ბათიაშვილი, ფრიდოლინი, ჭიპკვაშვილი, ოჭროპირიძე (ყობაური, 21), რატიშვილი, ბაყელიძე, ზ. ქულიძე (სვანიძე, 53), ა. ალავიძე (ქურასბეკიანი, 46), ვ. უგრეხელიძე, ჩასვში, ეგორე.
გოლები: 0-1 ეგორე (3), 1-1 სახოკია (5), 2-1 ფიქრიშვილი (27), 3-1 სახოკია (58), 3-2 ფრიდოლინი (83).
გააფრთხილეს: ლომპია (36), ადამაძე (44), დიღმელაშვილი (44), რაზმაძე (67, 80), ბაყელიძე (89).
გააძევეს: რაზმაძე (80).
მსაჯი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი).

6 აგვისტო. ბორჯომი. სტადიონი ჯ. ზვინკლიშვილის სახელობის. 2000 მაყურებელი
ბორჯომი — ლოკომოტივი 1-1
ბორჯომი: ჭუტიაძე, სანაია, გარუჩავა (ფურთულია, 62), ბაჭიაძე, ჭარქვიშვილი, დონღოლაძე (ზენდელიანი, 52), ავალიანი, ნაკანო, დათვაძე, გ. მოდებაძე, შ. ჭიქია.
ლოკომოტივი: გვარამაძე, მიხაილიანი, თუთბერიძე, აბელაძე, გ. კვახაძე, ჩიკაძე (ბახტაძე, 70). ბუდაღაშვილი, ვ. გონაშვილი, დეისაძე (ვულოკავა, 17), მ. ქილაური, მხეიძე (გ. ბარბაქაძე, 33).
გოლები: 1-0 სანაია (22 პ), 1-1 გონაშვილი (45 პ).
გააფრთხილეს: კვახაძე (21), ჭურაძე (45), ბუდაღაშვილი (48), კვახაძე, 51), ჩიკაძე, დ. ბარბაქაძე (75), თუთბერიძე (77), გონაშვილი (86), მოდებაძე (90).
გააძევეს: კვახაძე (51).
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი).

ᲤᲘᲤᲐ ᲛᲔᲒᲐᲖᲘᲜᲔ

„ᲤᲘᲤᲐ ᲛᲔᲒᲐᲖᲘᲜᲔ"

ფიფას ყოველთვიური ჟურნალი, მთელ მსოფლიოში ვრცელდება და მის ყოველ ახალ ნომერს დიდი ინტერესით მოელიან ფეხბურთის მოყვარულები. ბოლო დროს, ცხადია, საყურეთაო ფურცლებიის ცენტრში იყო მსოფლიო ჩემპიონები, რომელიც ერთი თვის წინათ დამთავრდა გერმანიაში.

ჟურნალის აგვისტოს ნომერი, რომელიც რედაქციაში უკვე მივიღეთ, მთლიანად ეთმობა მსოფლიო ჩემპიონებს, ჟურნალის მკითხველებს გამოკვეთის რედაქციამ კარგი საჩუქარი მოუმზადა — ჟურნალს თან ერთვის ფინალისტი გუნდების ფერადი პლაკატები.

ჟურნალში სრულადაა ასახული, როგორც ჩემპიონატის პრესპატრონი, ისე სტატისტიკური მონაცემები, დაეთმეწყარი კადრები, თუმცა, ჟურნალში არაფერია ნათქვამი და არც ის ინტიდენტის ფოტოა დაბეჭდილი, რომელიც ფინალური მატჩის მიწურულს, ზიდანსა და მატერაცს შორის მოხდა.

ჟურნალი აქვეყნებს ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდის ფოტოს და შემადგენლობას, სტადიონების ფოტოებს შესაბამისი მონაცემებით...

ᲩᲕᲔᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲕᲐᲠᲗ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველებს შეგახსენებთ, რომ ბინათა ბანკის ნებისმიერ ფილიალში, სადაც გარკვეული პროცედურების გავლისა და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ თქვენ ოფიციალური გახდებით ფან-კლუბის წევრებად (15 ლარი) ან ოჯახურის (100 ლარი) ბარათის მფლობელი. თქვენთვის სანიტერესო სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე WWW. GFF. GE ან 15 აგვისტოდან „საქართველოს ბანკის" ფილიალებში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

საინფორმაციო მხარდაჭერა

სარბიელი

ლიგა

ბორჯომი

ლოკომოტივი

ოლიმპი

ტორპედო

24 საათი

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

კომპანი, რომელსაც დიდ პეკენბაუერს ამსგავსებენ

გერმანიის საფეხბურთო კლუბ „ბაიერის“ შემადგენლობაში გამწესდა 20 წლის ბეკენბაუერი ფეხბურთელი ვინსან კომპანი. მისი დებიუტი არანაკლებ ბრწყინვალე იყო. გერმანიის ლიგის თასის გათამაშების შეხვედრაში „ბურტჰაუზენ“ კომპანის მიერ გატანილმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა „ბაიერს“. მატჩის შემდეგ კომპანის ფურნალისტებმა ცოდნათაც გამოცადეს. მან ჯერ ინგლისურად დაიწყო საუბარი, შემდეგ კი გერმანულადაც პრწყინვალედ პასუხობდა შეკითხვებს. როგორც ჩანს, „ბაიერელების“ ყოფილი ფეხბურთელი მალე შეეჩვევა ბუნდესლიგას.

რეკორდული ტრანსფერი

„კომპანი არაჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდა. დარწმუნებული ვარ, რომ მასთან ჩემი შეგირდები არ მოიწყენენ. ძალიან მინდოდა ამ ფეხბურთელის შეძენა და ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მივაღწიე“ – აზრობს „ჰამბურგის“ მწვრთნელი თომას დოლი. კომპანის შეძენა „ჰამბურგს“ თავის ისტორიაში რეკორდულ ფასად დაუჯდა. – „ანდერლეხტს“ რვა მილიონი ევრო გადაუხადეს, თუმცა, გერმანული კლუბის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს თანხა ტყუილბრალოდ არ გადაიხარჯა. გერმანელმა მაყურებელმა იხილა ფეხბურთელი, რომელიც ადგილზე ვერ ნერვიულობდა მთელი თამაშის განმავლობაში. სინამდვილეში, რომ კომპანიმ დებიუტი ბეღლის ნაკრებში 17 წლისამ გაიფარშა. 18 წლისა კი თავისი ქმედების სატკეპნო ფეხბურთელიც გახდა. ლეგენდარულმა ბეღლიელმა ოსიო ლემა პილ ვან ჰიმსტმა იგი ფრანც ბეკენბაუერის შეადარა. „მას შეუძლია ერთი მოქმედებით მეტოქის სამი ფეხბურთელი დატოვოს ჩაღაბმულებული. ეს თვისება ჰქონდა თავის დროზე ლეგენდარულ ფრანც ბეკენბაუერს“.

„ჰამბურგში“ გადასვლით კომპანი ნათელ მომავალს ხედავს თავის კარიერაში. მას სჯერა, რომ ამ გუნდთან ერთად მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევს.

„ჩელსიც“ იყო დაინტერესებული

ვიდრე „ჰამბურგში“ გადავიდოდა, კომპანის შეძენა ევროპის რამდენიმე ძლიერ კლუბს სურდა. დაინტერესებულთა შორის იყო ლონდონის „ჩელსიც“. „ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ „ჩელსისაგან“ მიეღე წინადადება, მაგრამ მე ვარი ვიქე. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური მხარე ორჯერ მეტ გასამრჯელოს შემპირდა, ვიდრე „ანდერლეხტში“ ვიღებდი, ვფიქრობ, რომ „ჩელსიმაც“ შემიძლო თავის გამოჩენა. მაგრამ მერჩივნა ამ ეტაპზე არ გადავსულიყავი. ვფიქრობ, დადგება ის დროც, როცა ლონდონში ჩავალ“ – ამბობს კომპანი.

დავიწყებული ამბიციები

„ჰამბურგმა“ 80-იან წლებში საჭერ მოიგო გერმანიის ჩემპიონატი. გარდა ამისა, „იუვენტუსსაც“ სძლია ევროპის ჯვრების ჩემპიონთა თასის ფინალშიც... ამის შემდეგ „ჰამბურგში“ კრიზისი დაიწყო და ბუნდესლიგის დატოვების სარითხის წინაშე დადგა. ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობაში მოვიდა ბერნდ ხოფმანი. 2004 წელს ტომას დოლი დანიშნეს მთავარ მწვრთნელად. გამოსწორდა სატრანსფერო პოლიტიკა და შედეგიც სახეზეა. „ჰამბურგი“ მნიშვნელოვნად გაძლიერდა, თუმცა, ჯერ ევროპიებიის დაბრუნებამდე ჯერ კიდევ შორია. თომას დოლი იმედოვნებს, რომ „ჰამბურგი“ ისევ გაიბრწყინებს ევროპაში, როგორც ეს 80-იან წლებში იყო. ამის საფუძველი ნამდვილად არსებობს. პირველ სამუშაო სეზონში დოლმა და მისმა შეგირდებმა ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს და ახლა თუ „ლისანენსს“ დაამარცხებენ, უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ისპარტებენ.

ახალგაზრდული გუნდი

„ჰამბურგის“ შემადგენლობა ძირითადად ახალგაზრდულია — რაფაელ ვარი, ჰალიდ ბულპარუზი, მეზდი მაჰ დავიარა... ესენი სწრაფი და ამბიციური ფეხბურთელები არიან. ახლა მათ კომპანიც შეემატა. დოლი ამათვან დიდ სარგებლობას ელის.

ამოცანა

როგორც ზედაო, „ჰამბურგი“ ახალ სეზონს გაძლიერებული შემადგენლობით ხვდება. თომას დოლისათვის მთავარი ამოცანა გერმანიის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაა, რომელზედაც გუნდი და გულშემატკივრები უკვე იღი წელიწადია ოცნებობენ.

დაიწყო საერანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი

წარმატებით აღი სტარტი ჩემპიონმა „ლიონმა“, რომელმაც სტუმრად ანგარიშით 3-1 დაამარცხა „ნანტი“. ყველ მეოთხე წუთზე ბუხარიმ დააწინაურა „ნანტი“, თუმცა, მასპინძელთა სიხარული მხოლოდ ორი წუთის განმავლობაში გაგრძელდა, ბენზემამ წონასწორობა აღადგინა. მეორე ნახევარში სკილაჩიმ და ფრედმა ორჯერ აიღეს „ნანტის“ კარი. ამ შეხვედრაში „ლიონს“ ასევე ორი შემადგენლობით თამაშობდა: ვერკუტერი, რეგინიერი, ბერტო, სკილაჩი, კასაპა, დიარა, ტულალანი, ჩელსტერმი, კარიე (ფრედი, 76), ბენ არფა (ლეჭარი, 68), ბენზემა. ფავორიტთაგან ასევე იმარჯვებ „ლანსმა“, „ლილემ“ და „ბორდომ“. „ლანსმა“ დინდანის ერთადერთი ბურთის წყალობით 1-0 სძლია „ტრუას“. „ლილომ“ 2-1 მოუგო სტუმრად „რენს“, ხოლო „ბორდომ“ ორი უპასუხო ბურთი გაიტანა „ტულუზას“. „ბორდოს“ პირველ ტურში მიკუს გარეშე მოუხდა თამაში, ვინაიდან ეს უკანასკნელი დისკვალიფიცირებული იყო. კიდევ ერთმა ფავორიტმა, „ოსერმა“ ვერ შეძლო საკუთარ მოედანზე „ვალანსიენის“ დამარცხება. სანტტერესოა, რომ პირველი ტაიმის მიწურულს სტუმრები დაწინაურებენ საგოლის მერე გატანილი ბურთის წყალობით. მეორე ტაიმის დასაწყისში მინიმ წონასწორობა აღადგინა, თუმცა, დარჩენილ დროში „ოსერმა“ მეტი ბურთის გატანა ვეღარ მოახერხა. ამ შეხვედრაში „ოსერის“ შემადგენლობა ასეთი იყო: კოლი, ჯრიხტენვი, მინიო, რაფე, სანია, შეირე, კალებრეი, ტომა (ნიკულეკი, 72), ტრაორე (მატსინი, 46), ელენი (აკალ, 56), პიერონი.

საკუთარ მოედანზე მოულოდნელი მარცხი იწვნია „პარი სენ-ჟერმენმა“. არადა, ეს გუნდი ორჯერ დაწინაურება „გლორიანოსმ“ შეხვედრაში, თუმცა, საბოლოოდ წააგო 2-3. ასევე დამარცხდა „მონაკოს“ მასპინძელი მოეტიჩის სტუმრად „ნანსის“ — 0-1. „მონაკოს“ შემადგენლობაში დებიუტი 3 ჭონდა ცხნილ ჩეხ ფეხბურთელს იან კოლერს. **„მონაკო“:** რომა, დოს სანტოსი, ქიგე, მონსორო, ვეიონ (ალონსი, 60), ბერარდეი, ლუკი (მორის-ბელო, 71), პიერსი (სამბიო, 76), ჟაკე, ჟილიორტი, კოლერი.

სხვა შეხვედრები: „სენტ ეტიენი“ — „სოშო“ 1-2, „ლემანი“ — „ნიცა“ 1-0.

„ჩელსის“ ამერიკული მარცხი

გრძელდება ლონდონის „ჩელსის“ ვიზიტი ამერიკაში. აბრამოვიჩის გუნდმა ამხანაგური შეხვედრები გამართა ამერიკის საფეხბურთო ლიგის „MLS“-ის ვარსკვლავთა ნაკრებთან. ლონდონელები დამარცხდნენ მინიმალური ანგარიშით 0-1. ეს ერთადერთი ბურთი თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე გაიტანა კანადელმა დუეინ დე როსარიომ. ამ შეხვედრაში „ჩელსის“ შემადგენლობა ასეთი იყო: კუდრიანი (ალარიუ, 64), ჯერემი, პაულე ფერეირა (რიკარდუ კარვალიუ, 46), ტერი, ბრივი (დიარა, 46), ესიენი, ბაძალია (მაიკელი, 46), ლემპარდი, რაიკ ფილიპსი (ჯო კოული, 46), დროგბა (კალუ, 46), შეეჭენკო (რობენი, 46).

„ბრეშენელმა მუსიკოსებმა“ „ბაიერნს“ აჯობეს

იუან კლასნიჩის ორმა ბურთმა ბრემენის „ვერდერს“ გამარჯვება მოუტანა მიუნხენის „ბაიერნთან“. გერმანიის ლიგის თასის ფინალში — 2-0. ეს შეხვედრა ლაიფციგში „ცენტრალ სტადიონზე“ გაიმართა და მას 41 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

კლასნიჩმა გერმანიის ეიცე-ჩემპიონები 29-ე წუთზე დააწინაურა მარცხენა კლოზე გადაცემის შემდეგ. მეორე ტაიმის შეგადუქში მანვე ზუსტად შესარტყა მიუხნელა კარის მარჯვენა ვერტიკალში დანიშნული საჯარიმო. ამ წარმატებით, „ვერდერმა“ ყველას დააანახა, რომ ახალ სეზონში „ბაიერნის“ მთავარი ამ სეირნობელი კონკურენტი იქნება. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბუნდესლიგაში ჩემპიონობა „ბაიერნმა“ მოიპოვა.

„ვერდერის“ კაპიტანი ტორსტენ ფრინგსი თელის, რომ მისი გუნდი ბოლო სეზონში ძლიერი იყო „ბავარიაზე“, მაგრამ ჩემპიონობა მაინც ამ უკანასკნელს დარჩა.

გერმანიის ლიგის თასის ფინალში მიღწეული შედეგით დიდად უკმაყოფილო დარჩა „ბაიერის“ მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგათი: „ჩემს შეგირდებს პრაქტიკულად საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ. „ვერდერი“ ძლიერად თამაშობდა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გუნდი ერთად იბრძოლებს გერმანიის ჩემპიონის ტიტულისათვის.

აქვე გეტყვით, რომ ბუნდესლიგის ჩემპიონატი იწყება პარასკევს, „ბაიერნისა“ და „ვორტმუნდის“ შეხვედრით. შაბათს კი „ვერდერი“ ეთამაშება „ჰანოვერს“.

გერმანიის ლიგის თასი. ფინალი
„ბაიერნი“ – „ვერდერი“ 0-2
გოლები: 0-1, 0-2 კლასნიჩი (29, 66).
„ბაიერნი“: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბოიტენი, ლამი (ოტტო, 46), ჰ არგრივნი, კარლინი, შაინმბაიგერი (სალიჰამიჭიჩი, 46), სანტა კრუსი, მაკაო, პიზილეკი (დოს სანტოსი, 46).
„ვერდერი“: ვიზე, შული (ვრანდენ, 81), ფარენჰორსტი, ნალდო, ვომბი, ოუმთიელა, იენსენი (ანდრიდენი, 77), ფრინგსი, დიგო, კლოზე (ჰუნტი, 60), კლასნიჩი.

ინგლისელი გეები – მსოფლიო ჩემპიონები

ჩიკაგოში დასრულდა გეების მსოფლიო თამაშები. საფეხბურთო შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისური საფეხბურთო კლუბი „სთოუ ვოლი“ და ფლორიდის გაერთიანებული ნაკრება. თამაშში იგრძნობოდა ინგლისელთა უპირატესობა, თუმცა, ძირითადი დრო ულეოდ დასრულდა. დამატებითი დროის დასაწყისში ამერიკელებმა ანგარიში გაანაღეს, თუმცა, ინგლისელმა გეებმა მაინც მოახერხეს სამი ბურთის გატანა მეტოქის კარში. საბოლოოდ, „სთოუ ვოლმა“ 3-1 იმარჯვა.

„ჩემმა მიჭიმმა დაამტკიცეს, რომ ყველაზე დიდი ტალანტის მჭონე ადამიანები არიან. საერთოდ, გეეს შორის ბრწყინვალე ფეხბურთელები მოიპოვებიან. ვიმედოვნებ, რომ მსოფლიო საფეხბურთო სამყარო მათ ყურადღებას მიაპყრობს“ – განაცხადა „სთოუ ვოლის“ გახარებულმა პრეზიდენტმა ენდი უოლშლიმ.

კრესპო „ინვერში“ დაბრუნდა

გუშინ ერნან კრესპომ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი მილანის „ინტერთან“. შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი სეზონში ლონდონის „ჩელსის“ ღირსებას ცავდა. ახრამოვიჩის გუნდის შემადგენლობაში კრესპომ 49 მატჩი ითამაშა და 20 ბურთი გაიტანა. აქვე გეტყვით, რომ მან არგენტინის ნაკრების ღირსება 59 შეხვედრაში დაიცვა და 32-ჯერ აიღო მეტოქის კარი.

თუ არ შეეკლო, რას გარისკავდა?

„იეტტერის“ ნახევარმცველი ენდი ვან დერ მეიდე ლივერპულის მოსაბატონში მოთამაშეს. თუმცა ორიოდე დღის წინ მას კარგი დრო უტარებია ქალაქის ერთ-ერთ ღამის ბარში. მერე დღეს კი ფეხბურთელმა შეეხლად იგრძნო თავი, — პრობლემები შეექმნა სუნთქვასთან დაკავშირებით და მალე სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

დიდებული ოთხი წელიწადი

ეახლოეს დღეებში დიდი დრონება ახალ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს ლონდონის „ჩელსისთან“. სანტტერესოა, რომ ბოლო პირიდიოში ევროპულ პრესაში ჩნდებოდა ინფორმაციები, თითქოსდა დროგბა აპირებდა „ჩელსის“ დატოვებას. მაგრამ ამ ჯორებს თავად ფეხბურთელმა მოუღო ბოლო. მან თქვა, რომ ლონდონური კლუბიდან წასვლა სულაც არ უფიქრია.

ფრანგთა ახალი კაპიტანი



ცნობილი გახდა, რომ ამიერიდან საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრებს უკაპიტანებს პატრიკ ვიეირა, აქამდე კაპიტნის სამკლაურს ხანიდან ბარი ატარებდა.

ვიეირას კაპიტნად დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო ფრანგთა მთავარმა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა, რომელმაც ჟურნალისტებთან შეხვედრაში აღნიშნა: „პატრიკი ნამდვილი ლიდერი და კაპიტანია. მან უკვე 94 მატჩი ჩაატარა საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში. აქვს ბევრი ავტორიტეტი მოთამაშეთა შორის, ვფიქრობ, ის არის ხანიდან ზედანის ღირსეული მემკვიდრე“.

ბატონის გასროლა

„ფორმულა-1"-ის მორიგი ეტაპის — უნგრეთის გრან პრის გათამაშება „ჯენტლმენის" პილოტის ჯენსონ ბატონის გამარჯვებით დასრულდა. ეს იყო ბრიტანელის პირველი წარმატება თავის კარიერაში, რომელიც მეტად რთულ პირობებში მოიპოვა — მან ჩამოიტოვა მთავარი ფავორიტების მიხაელ შუმახერი და ფერნანდო ალონსო.

უნგრეთის გრან პრის გათამაშება მოულოდნელობები იყო საეჭვო. ყველაფერი საკვალიფიკაციო ეტაპზე დაიწყო, რომელიც კიდი რაიკონენმა მოიგო. მას ვაალში ჩაუდგნენ ფელიპე მასა („ფერარი") და რუბენს ბარიკელო („ჰონდა"). რაც შეეხება ესპანელ ფერნანდო ალონსოს („რენო") და გერმანელ მიხაელ შუმახერს („ფერარი"), ისინი ათიელს მიღმა მოხვდნენ. ამის მიზეზი იყო სხვრპლიული ჯარიგები. პირველად ალონსო დააჯარიმეს, — მის შედეგს 2 წამი დაუმატეს. მიზეზი იყო ის, რომ თავისუფალი პრაქტიკის დროს, ალონსომ გადაუწერება გაუკეთა ყიფილი დროშის „ქვეშ". ასეთივე დისკვალიფიკაცია მიიღო შუმახერმა, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ მან წესი დაარღვია წითელი დროშის „ქვეშ". ამის მიუხედავად, „ფერარის" პილოტმა შესანშნავად აიღო სტარტი ძირითად რბოლაში. დაიწყა რა, მეოთხემიტე ადგილიდან რამდენიმე წუთში უკვე მეექვსე პოზიციაზე გადაინაცვლა. ამავე დროს, კარგად ირჯებოდა ფერნანდო ალონსოც, რომელიც არა მხოლოდ დაეწია მსოფლიოს შვიდზის ჩემპიონს, არამედ გადაუსწრო კიდეც. მეხუთე წუთისთვის ესპანელი უკვე მესამე პოზიციაზე იყო და მთელი რეა წამით უსწრებდა მიხაელ შუმახერს. ამ მომენტში მნიშვნელოვანი კიდეც ის იყო, რომ ტრასიდან გადაეიდა ჭაბკირო ფიზიკელა. ლიდერობით კი კიმი რაიკონენი ლიდერობდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, არ გაეშალაოდა. ერთ მომენტში შეეჭახა ანტონიო ლეჭის ბოლიდს და ტრასიდან გადავიდა. ლიდერობა ალონსომ გადაიბარა. ყველას ეგონა, რომ იგი პოზიციებს არ დათმობდა, მაგრამ ბოჭპი შეეჯა-გამოსელის შემდეგ მოულოდნელად, „რენოს" პილოტიც გადავიდა ტრასიდან. ასეთი შემთხვევების მთავარი მიზეზი წვიმა იყო. არადა, ფინიშამდე თერამეტი წრე რჩებოდა. როგორც რბოლის შემდეგ ფერნანდო ალონსომ განაცხადა, მან ჯერ კიდევ ბოჭპი ყოფნის დროს იგრძნო, რომ საქმე კარგად ვერ იყო. ალონსოს წარმატებლობის შემდეგ ავტომსპორტის მოყვარულთა ყურადღება მიიპყრო შუმახერმა და უკვე გაღიდერებულმა ჯენსონ ბატონმა. ფინიშამდე სამი წრით ადრე ასევე ტრასიდან გადავიდა მსოფლიოს შვიდზის ჩემპიონი. საბოლოოდ, პირველი ფინიშთან ჯენსონ ბატონი მიიჭრა. მისი შედეგია — 1:52:20,941. მეორე ადგილზე გავიდა „ბაკლარენის" პილოტი ჯედრო დე ლა როსა, რომელიც გამარჯვებულს 30 წამით ჩაბარდა. შესამე ადგილი დაიკავა ნიკ ჰაიდფელდმა („ზაუბერი").

მიხაელ შუმახერმა 1 ქულა მაინც მოიპოვა — ის მეცხრე ადგილზე გავიდა. რაც შეეხება ფერნანდო ალონსოს, მისი შედეგი მეოხუთმეტე საფეხურია.

საერთო ჩათვლაში ქულა ფერნანდო ალონსოს ლიდერობს 100 ქულით, შემდეგი მას 10 ქულით ჩაბარდება, შემდე ადგილზეა „ფერარის" კიდევ ერთი პილოტი ფელიპე მასა — 51 ქულა.

კონსტრუქტორთა თანხვ „რენოს" 149 ქულა აქვს და 8 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს „ფერარის".



NBA-ს კალათბურთელი შარში გაეხვია

ბოლო პერიოდში NBA-ს კალათბურთელები ხშირად ეხვევიან სკანდალში. ზოგიერთს ნარკოტიკების გამოყენებაში ადანაშაულებენ, ზოგიერთს მთელად მდგომარეობაში საჭესთან ყოფნის დროს იჭერენ, ზოგიერთის ბინაში კი სამართალდამცავები იარაღს პოულობენ. სკანდალური შემთხვევების მორიგი ფიქრა გახდა NBA-ს გუნდ „დეტროიტის" ვარსკვლავი ჯეო დევისი, რომელიც პოლიციამ დააკავა მაიამიში, სახოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით.

თურმე მთამაშემ მართლაც დაარღვია სახოგადოებრივი წესრიგი და წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელებს, რომლებიც მის დასაშოშმინებლად მივიდნენ. თურმე, სამართალდამცავები მისთვის ცეცხლის გახსნას აპირებდნენ, თუ კალათბურთელი ჯანიდან ხელს არ ამოიღებდა (როგორც ჩანს, პოლიციელებს ეგონათ, რომ დევისს ჯიბეში ცეცხლსასროლი იარაღი ედო). კალათბურთელმა ხელი ამოიღო ჯანიდან და თან ამოაყოლა ფული, სამი მობილური ტელეფონი და საკრედიტო ბარათები. ამის შემდეგ მან დაიწყო დავა პოლიციელებთან იმის გამო, რომ მათ ხელებზე ბორკილები დაადეს. საპასუხოდ, პოლიციელებმა ეს თავდასხმად შეაფასეს. დეილ დევისის აგენტი სამართალდამცავების დაემუქრა, რომ სასამართლოში იჩივლებს, თუთ კალათბურთელი ამბობს, რომ მის უფლებებს ზღუდავენ კანის ფერის გამო.

შარაპოვას რეპეზიცია აშშ-ის ღია პირველობის წინ

რუსული ჩოგბურთის ვარსკვლავი მარია შარაპოვა სან-დიეგოს საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულად მოგვევლინა. ამ შეჯიბრების გადამწყვეტ შეხვედრაში მარიამ ბელგიის წარმომადგენელი კიმ კლაიჯერსი დაამარცხა ანგარიშით 7:5, 7:5. სან-დიეგოში ფინალი გასული შარაპოვასათვის იყო მეოთხე ცდა მოეპოვებინა ტიტული მიმდინარე წელს. აქამდე მარია გავიდა ინდიანა-უელსის, დუბაისა და მაიამის ტურნირების ფინალში. თუმცა, გამარჯვების მოპოვება მხოლოდ ინდიანა-უელსში მოახერხა, როცა გადამწყვეტ შეხვედრაში სძლია თანამემამეტე ელენა დემენტიევას.

სან-დიეგოს ტურნირში გამარჯვება მარია შარაპოვასთვის იყო შესანიშნავად წარმართული გენერალური რეპეტიცია მიმდინარე წლის დიდი სლემის ჯაჭვსანელი ტურნირის — აშშ-ის ღია პირველობის წინ. ფინალამდე რუსმა ჩოგბურთელმა შეკიბრებას გამოინახა ზეონრივი, პირსი და შნაიდერი. ბოლო ბარიერი კლიმტერსი იყო, რომელთანაც აქამდე ჩატარებული ოთხი შეხვედრიდან შარაპოვა ერთ ერთი ერ მოეკო. ასე რომ, შარაპოვას რევანშის წყურვილი კლავდა. მან ბრწყინვალე თამაშით მოიგო პირველი სეტი ანგარიშით 7:5. „ამ თავგამოვებით ვიბრძოდი. ამ სეტის ბოლოს ვიგრძენი, რომ ვამეტებდი. ამ მომენტში ვფიქრობდი, რომ ამ სეტის მოგება ნიშნავდა მატჩის მოგებას. ამიტომ ვიბრძოდი ყოველი ბურთისთვის. ვიცოდი, რომ ეს ჩემი ერთ ერთი საუკეთესო მატჩი იყო", — განაცხადა შარაპოვამ მატჩის შემდეგ.

დასასრულ, გეტყვით, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 1,3 მილიონი დოლარი იყო.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ

8 აგვისტო, სამშაბათი

EUROSPORT. ავტომსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში (10.30). სპიდვეი. იტალიის გრან პრი (11.00). მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი შვედეთში (12.00). ფრანსში ხტომა (23.00). EUROSPORT2. სამლაო ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი (17.00). მოტორბოლები. პოლონეთის გრან პრი (18.00). ეკმტრემალური პარკური (20.00). მოტოციკლიზმი (21.00). ავტომსპორტი. სერია გრან პრი (22.00). სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მოტორბოლები (23.00). **„პლანეტა სპორტი".** ფეხბურთი. რუსეთის პრემიერლიგა (12.05). ავტომსპორტი. „მსოფლიო რალი" (12.30). ევროპის ჩემპიონატი სამლოსნო სახეობებში (14.00). ფეხბურთი (15.00). პირველი ახალგაზრდული სპორტაიადა (17.00). ფრანსში ხტომა (19.00).



9 აგვისტო, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი. მსოფლიო რაგბი (18.30). EUROSPORT. ეკმტრემალური სპორტი (10.30). მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი შვედეთში (11.00). ფრანსში ხტომა (14.30). ავტომსპორტი (23.00). გოლფი. „ბიეკე ოფენი" (23.15). ცხენოსნობა. კონკური. ლა-კორნა (0.45). სპორტი. ევროპული ავსტრიაში (2.15). სპორტული საოცრებანი (3.15). EUROSPORT2. სამლაო ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ვაკები. ავსტრია. ფინალი (20.30). წყალში ხტომა (18.00). მოტორბოლები. დიდი ბრიტანეთის გრან პრი (19.00). ეკმტრემალური სპორტი (20.00). მოტოციკლიზმი. მსოფლიო ჩემპიონატი (20.30). მებრძოლთა კლუბი (0.00). **„პლანეტა სპორტი".** ცხენოსნობა (6.15). პირველი ახალგაზრდული სპარტაიადა (7.00). სპორტის ახალი ამბები (8.00, 11.00, 22.00). ფეხბურთი. რუსეთის პრემიერლიგა. (8.10). ევროპის ჩემპიონატი სამლოსნო სახეობებში (10.00). ფეხბურთი (15.00). წყალში ხტომა (18.00). ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა (20.00).

10 აგვისტო, ხუთშაბათი

EUROSPORT. მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი შვედეთში (10.30). ფეხბურთი. ამხანაგური თამაშები (15.15). კრიკეტი (23.00). რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.00). სახბრძოლო ხელოვნება (1.30). EUROSPORT2. წყალში ხტომა (17.00). ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (18.00). მოტორბოლები. გერმანიის გრან პრი (19.00). მოტოციკლიზმი. აშშ — ვირჯინია (20.00). ეკმტრემალური სპორტი (21.00). ჭიდაობა (22.00). „ლანდეი სპორტი". პირველი ახალგაზრდული სპარტაიადა (6.55). ფეხბურთი. რუსეთის პრემიერლიგა (8.00). ევროპის ჩემპიონატი სამლოსნო სახეობებში (9.50). ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ვაკები (11.00). სინქრონული ხტომები წყალში. ევროპის ჩემპიონატი (14.00). ფეხბურთი. რუსეთის პრემიერლიგა (15.00).

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

თარაზულად: 1. ღილი გრძელ მანძილზე, 7. საატომბომბიო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია, 10. ღამის სათამაშო კლუბი, 11. იაპონელი ტანმოვარჯიშე ვაკი, ოლიმპიური ჩემპიონი (1968). 12. არგენტინების ნავი, 16. ყველა დროის საუკეთესო ფიგურისტი, 17. „ნანტის" ნახევრმცველი, იმერს... 18. მძლეოსნობაში ერთ-ერთი დისციპლინა, 21. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 1964 წელს, 23. თბილისის „დინამოს" საფეხბურთო გუნდის პირველი მწვრთნელი (1936 წ). 24. საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, მიხელი ... 26. „რომას" ფეხბურთელი, ფრანჩესკო ... 27. ცნობილი ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელი, 29. მოქიდავე ქვეყანაროელად, 31. წარსულში ცნობილი პროფესიონალი მოკრივე, არჩი... 32. ოლიმპიური ბაზა სოხუმთან ახლოს, 33. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე საფეხბურთო კლუბი.

შებულად: 2. „ინტერის" ბრაზილიელი თავდამსმელი, 3. მძლეოსნური იარაღი, 4. უმაღლეს ოლტატობამდე დახელოვნებული, 5. საქართველოს ნაკრების კალათბურთელი, 6. „ლიონის" მკარე, რემი ... 7. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია, 8. ფურცლოვის ცნობილი ფეხბურთელი, 9. სპორტსმენებისთვის აკრძალული სამედიცინო პრეპარატი, 13. სუფსტების ასპარეზობის სერია, 14. სავიაციო სპორტში ჰაერში ხტომის ინვენტარი, 15. ავტომოტო-ველო, სანიზნისონი და ა.შ. შეჯიბრება, 19. საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი გიორგი ... 20. „მარსელის" სენეგალელი მეკარე, ჰაბიბ ... 21. ძიუდოს ხალიჩა, 22. მოტორიანი ნავი, პატარა გემი, 25. ჩორნომაელი ცხენი, 28. შეჯიბრების ნაწილი, რიცა ყველა მონაწილე თითოჯერ ხდება მებრძოლი, 30. ცნობილი ინგლისელი მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი სებასტიან ...



ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

თარაზულად: 3. კედლი, 7. „სპარტაი", 9. ოლიმპია, 10. „ოსი", 11. მაკლარენი, 13. ტატუ. 15. აფრა, 16. მიტე, 17. ფული, 19. ფრეი, 20. შეფტონი, 22. რუტა, 24. ისარი, 26. ოფენი, 27. „ლაზიო", 28. იარიგინი.

შებულად: 1. აკოატი, 2. ანი, 3. კოტე, 4. გელმა, 5. „რომა", 6. მაისური, 8. კლისმანი, 12. კაიზერი, 13. ტაფარელი, 14. უძო. 15. აიტი, 18. ბილეკი, 20. მორფი, 21. ათენი, 23. სსუ, 25. საა, 26. „ოფი".

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

შეადგინა ნოდარ ჯაბადაძემ.

ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲘ

8 აგვისტო

1987 წ. — ლონდონში ჩატარდა სფეხბურთო მატჩი, მიძღვნილი ინგლისის ლიგის 100 წლისადმი.

9 აგვისტო

1936 წ — დაიბადა სერგო კოტიკაძე (ფეხბურთი — „დინამო" თბ.). სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ ჩემპიონი 1964 წ. და სამზის III პრიზიორი. 1962 წ. სსრკ სატყვიო მკარე, ოლიმპიურ ნაკრებში ჩატარა 5 მატჩი. 4-ჯერ შეიღიო სატყვიოსროსა შორის „33"-ში.

1945 წ. — დაიბადა ზურაბ საყვნელიძე — ოლიმპიური ჩემპიონი კალაბურთში.

10 აგვისტო

1888 წ. დაიბადა გიორგი ნიკოლაძე — მათემატიკოსი, მეტალურგი, სპორტსმენი, საზოგადო მოღვაწე.

1937 წ. — დაიბადა ანდრეი ბაბა (ფეხბურთი — „დინამო" კიევი). სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1961, 1966, 1967 წწ. სსრკ ჩემპიონი, 1966 წ. სსრკ თასის მფლობელი. 1966 წ. წლების №1 ფეხბურთელი. 1964 წ. ოლიმპიური თამაშების შესარჩევი მატჩების მონაწილე. ნაკრებში ითამაშა 1 მატჩი, 4-ჯერ დაასახელეს საუკეთესოთა შორის „33"-ში.

1934 წ. — დაიბადა ალადიმერ ვრისენიანი (თავისუფალი ჭიდაობა) — მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1959), სსრკ კავშირის ჩემპიონი (1957, 1959). საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com

ᲡᲐᲮᲐᲓᲠᲐᲙᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ

„შახმატი - 64" (1954წ)



თეთრები იწყებენ

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. მფძ3 1. ..... ფდხ3 2. მფძ4 ფფხ4 3. h5! c5+ 4. ფფე3!

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

თარაზულად 3. კედლი, 7. „სპარტაი", 9. ოლიმპია, 10. „ოსი", 11. მაკლარენი, 13. ტატუ. 15. აფრა, 16. მიტე, 17. ფული, 19. ფრეი, 20. შეფტონი, 22. რუტა, 24. ისარი, 26. ოფენი, 27. „ლაზიო", 28. იარიგინი.

შებულად: 1. აკოატი, 2. ანი, 3. კოტე, 4. გელმა, 5. „რომა", 6. მაისური, 8. კლისმანი, 12. კაიზერი, 13. ტაფარელი, 14. უძო. 15. აიტი, 18. ბილეკი, 20. მორფი, 21. ათენი, 23. სსუ, 25. საა, 26. „ოფი".